საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
"ECOMIX"-ის (ს/კ 406056440) დირექტორი
გ-ნი არმან ჰაკობიანი

ელ. ფოსტა ecomix.ge@yahoo.com

ტელ: 597 550303

სკრინინგის განცხადება

28.10.2021

ბატონო ლევან,

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ECOMIX"-ის (ს/კ 406056440) (რეგისტრირებული: თბილისი, თვალჭრელიძის ქ. N 6), მოწყობილი აქვს წყალში ხსნადი საღებავის წარმოების საამქრო ქ. თბილისში, დასახლება სამგორის რაიონი, თბილისი, თვალჭრელიძის ქ. N 16, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 01.19.19.002.065. (GPS კოორდინატში X=491511.00; Y=4616079.00) საწარმოში დღეში 8 საათიანი სამუშაო რეჟიმით, დღეში ერთხელ იგეგმება 1 ტონა საღებავის წარმოება, წელიწადში 180 სამუშაო დღით 180 ტონა პროდუქციის წარმოება. 2021 წლის 10 თებერვალს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ შპს ECOMIX-ის ობიექტის ინსპექტირებისას (ინსპექტირების აქტი № 007457) დადგინდა, რომ საწარმო 2020 წლიდან ახლორციელებდა წყალში ხსნადი საღებავის წარმოებას, აღნიშნული აქტი განიხილა თბილისის სასამართლომ, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება მოეხდინა შპს ECOMIX-ის ფულადი სანქციით დაჯარიმება (ჯარიმის ოდენობა-7000 ლარი), რომელიც კომპანიამ დათქმულ ვადებში გადაიხადა.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" II დანართის მე-6 პუნქტის 6.1 ქვეპუნქტის თანახმად, შუალედური პროდუქტის ქიმიური დამუშავებით, ქიმიური ნივთიერების წარმოება და 6.3 ქვეპუნქტის თანახმად, ქიმიური პროდუქტის საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია ექვემდებარება სკრინინგის პროცედურის გავლას და სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებას.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

პატივისცემით,

შპს ECOMIX-ის დირექტორი არმან ჰაკობიანი

დანართი:

1. სკოპინგის ანგარიში.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 19308
28 " 10 2021
02